საქართველოს
პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 6976

26 10 2012 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი ალასანიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ირაკლი ალასანიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, მის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. დადასტურდა, რომ ბატონი ირაკლი ალასანია დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრს ირაკლი ალასანიას ვადამდე შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარე

ირინე იმერლიშვილი